ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №115

ქ. ბათუმი 31 ივლისი 2017 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ს[1]" პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" წარმოდგენილი დირექტორის დავით ლეკვეიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე შპს 'იმედი 2010' წარმოდგენილი დირექტორის ჯამბულ ზოიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის" დანართი №1–ში გათვალისწინებული საქონლის მიწოდება (CPV 395 00000;).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 270 (ორას სამოცდაათ) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მიწოდების ვადა, მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონელი და მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

4.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.4 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" მეკუჭნავე ნოდარ მაღლაკელიძე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02% პროცენტის ოდენობით;

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0,2% პროცენტს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი ინახება „მიმწოდებელთან".

12. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის	**შპს „იმედი 2010"**
შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი"	**ს/ნ 445385529**
ს/ნ 245626443	**მის: ქ. ბათუმი, ფალავანდიშვილის ქ 3**
ქ. ბათუმი, შ.რუსთაველის ქ.N51	
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
სს „საქართველოს ბანკი"	**სს „საქართველოს ბანკი"**
ა/ნ GE29BG0000000331781901	ა/ნ GE33BG0000000293238200
დირექტორი **დ.ლეკვეიშვილი**	დირექტორი **ჯ.ზოიძე**

დანართი №1

№	დასახელება	CPV-კოდი	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	პროლონი ღრუბელი 2*1*10სმ	CPV – 39500000	6 ცალი	45	270
ჯამი				270 ლარი	

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი"

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

31.07.2017 წ.

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა, შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევით ცენტრსა" და შპს „იმედი 2010"-ს შორის 2017 წლის 31 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N115 -ის გაფორმებისას არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი

დ.ლეკვეიშვილი

მეკუჭნავე

ნ.მაღლაკელიძე